22/09/2025

MES 3 25 0001102403

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

სხდომის ოქმი
ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 08.09.2025
სხდომის დაწყების დრო: 13:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 13:55 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ლევან შავაძე
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ლევან შავაძე** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ვაჟა კელიხაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - საბჭოს მდივანი;
3. **ნარგულ ასანიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
4. **თეა მჭედლური** - შპს ,,უნივერსიტეტი ალტერბრიჯის" ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;
5. **ვლადიმერ ადეიშვილი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

6. **ციური დურული** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
7. **ქეთევან ნანობაშვილი** - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
8. **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;
9. **თამარ ზარანდია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
10. **მზია წიკლაური** - შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი;
11. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის სკოლის დეკანი;
12. **ქრისტინე ახალაძე** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი;
13. **ბონდო გასვიანი** - შპს - საქართველოს ეროვნული უნივერისტეტი სეუს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
14. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

1. **გიორგი ირემაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:
შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი:

- თეა მიქელაძე - რექტორი;
- გიორგი ცხვედიანი - ვიცე-რექტორი;
- ანი ქვათაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
- ანზორ ჭავჭავაძე - პროგრამის ხელმძღვანელი;

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

- შოთა ფოთოლაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- გიორგი ღაღანიძე - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი;
- მანანა ლობჟანიძე - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;
- ნინო ქიმერიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის განყოფილების ხელმძღვანელი;
- მარინა ჩავლეიშვილი - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
- ია ნაცვლიშვილი - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
- სერგო მელაძე - ტურიზმის სკოლის დირექტორი;

- მამუკა ხუსკივაძე - ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, პროგრამის აკადემიური პერსონალი;
- იოსებ ხელაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი;
- ნანა კაციტაძე - პროგრამის ხელმძღვანელი;
- მერაბ ხოხობაია - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი;
- ვალერი არღუთაშვილი - პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი;

აკრედიტაციის ექსპერტები

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ლევან შავაძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 13:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის "საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანდაცვის პოლიტიკის" სამაგსიტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "ჯანმრთელობის ხელშეწყობის, ჯანმრთელობითი განათლების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
7. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

ექსპერტთა თხოვნის საფუძველზე ცენტრმა აკრედიტაციის საბჭოს შუამდგომლობით მიმართა, რომ დღის წესრიგის პროექტით გათვალისწინებული მე-2, მე-4, მე-5, მე-6 და მე-7 საკითხების განხილვა გადადებულიყო მომდევნო სხდომებზე.

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის "საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანდაცვის პოლიტიკის" სამაგსიტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის გ ა ნ ხ ი ლ ვ ა ;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;

პირველი საკითხი: შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის "საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანდაცვის პოლიტიკის" სამაგსიტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

პროგრამის დასახელება: საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანდაცვის პოლიტიკა;
საფეხური: მაგისტრატურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის მაგისტრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: ჯანდაცვა - არაკლასიფიცირებული 0919;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 120;
სტატუსი: ახალი;

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ თავიანთი პოზიციები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, აურელია ბლაჟევიჩიენეს თქმით, დაწესებულება დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნაში დაფიქსირებულ რეკომენდაციებსა და რჩევებს. მათ შესრულებას კი დიდი ძალისხმევა არ დასჭირდება. ექსპერტთა ჯგუფის წევრი, თეა ქოჩორაძე დაეთახნმა ჯგუფის თავმჯდომარის პოზიციას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ანი ქვათაძემ და პროგრამის ხელმძღვანელმა, ანზორ ჭავჭავაძემ აღნიშნეს, რომ ეთანხმებიან ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რა სარგებელს იძლევა მეოთხე სემესტრში სამაგისტრო პროექტისა და ნაშრომის დამოუკიდებელი და პარალელური განხორციელება სწავლისა და კვლევითი უნარების განვითარების კუთხით. ასევე, შესაძლებელია თუ არა, რომ სამაგისტრო პროექტის შედეგები გამოყენებულ იქნას

სამაგისტრო ნაშრომის თემის შესარჩევად და მის კვლევით მიმართულებად, მათ შორის, მეთოდოლოგიური და შინაარსობრივი კონტექსტის გათვალისწინებით.
პროგრამის ხელმძღვანელმა, ანზორ ჭავჭავაძემ უპასუხა, რომ ჯერ მიმდინარეობს სამაგისტრო პროექტი, ხოლო შემდეგ სამაგისტრო თეზისი და ეს ცხრილში კარგაც ჩანს. ეს გაკეთდა იმისთვის, რომ აღნიშნულ 10 კრედიტში სტუდენტებმა მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება. სწორედ სამაგისტრო პროექტის მიზანია, რომ სტუდენტებმა სამაგისტრო ნაშრომის შესრულებამდე, დააზუსტონ თავიანთი საკვლევი თემა და გამოიმუშავონ პრაქტიკული უნარ-ჩვევები. თეა მჭედლურმა იკითხა, არის თუ არა შესაძლებელი, რომ სამაგისტრო პროექტი და სამაგისტრო ნაშრომი გაერთიანდეს 30 კრედიტად და წარმოდგენილი იყოს მეოთხე სემესტრში სამაგისტრო ნაშრომის სახით. უნივერსიტეტის ვიცე-რექტორმა, გიორგი ცხვედიანმა უპასუხა, რომ ეს კონცეფცია თავიდანვე იყო განხილული, თუმცა მსოფლიო ბანკის დაფინანსებული კვლევითი პროექტის ფარგლებში, რომელიც სწავლობდა საქართველოში საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებით შრომითი ბაზრის საჭიროებების კვლევას, მიღებულ იქნა მწვავე შედეგები ამ დარგში დასაქმებული ადამიანების უნარ-ჩვევებთან და კომპეტენციებთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, აქცენტი გაკეთდა პრაქტიკულ ნაწილზე, რომელიც ხორციელდება ჯანდაცვის სფეროს პროვაიდერ დაწესებულებებში. სამაგისტრო პროექტის ფარგლებში შესაძლებელი იყო სტუდენტისთვის ჯანდაცვის ორგანიზაციაში მონაცემების მოპოვების დავალება, თუმცა კითხვის ნიშნის ქვეშ დგებოდა ეფექტურობა. ასევე, უნივერსიტეტისა და ჯანდაცვის მომსახურების პროვაიდერის მიერ ერთობლივად განხორციელებადი სტუდენტის პრაქტიკული უნარების შეფასების მექანიზმი შესაძლებელია დაკარგულიყო თუკი პროექტი და ნაშრომი გაერთიანდებოდა. ამგვარად, სტუდენტს შეუძლია ერთ სემესტრში განავითაროს პრაქტიკული და კვლევითი უნარები. ანზორ ჭავჭავაძის თქმით, ასეთი ფორმით უკეთესად კონტროლდება პრაქტიკული კომპონენტის სწავლება და შეფასება. საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა იკითხა თუ როგორ აპირებს პროგრამა საექთნო საქმისა და ფარმაციის სფეროების სეპარირებას. ანზორ ჭავჭავაძემ უპასუხა, რომ მიღების წინაპირობაში მითითებული იყო - „სტუდენტს უნდა ქონდეს საექთნო საქმის ან ფარმაციის კვალიფიკაცია“, ექსპერტებმა რეკომენდაციაში კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს „ან“ კავშირი. პრობლემა არის ტექნიკური ხასიათის და გამოსწორდება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 13:26
დასრულების დრო: 13:30

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის "საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანდაცვის პოლიტიკის" სამაგსიტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით - 2027 წლის 31 დეკემბრამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების

ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის "საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანდაცვის პოლიტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით - 2027 წლის 31 დეკემბრამდე.

მეორე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადეს ბონდო გასვიანმა და თამარ ზარანდიამ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

პროგრამის დასახელება: ტურიზმი;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება 1015;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 240;

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა თავიანთი პოზიციები.
აკრედიტაციის ექსპერტმა, ნინო დევიძემ აღნიშნა, რომ 10 რეკომენდაციიდან მხოლოდ ერთია შეფასებული როგორც „ნაწილობრივ შესრულებული“. ეს რეკომენდაცია გაცემული იყო 1.4 კომპონენტში - „ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების წარმატებით მისაღწევად პროგრამის სასწავლო გეგმაში უნდა იყოს გათვალისწინებული შემდეგი ძირითადი კურსები, კერძოდ: პროექტების მენეჯმენტი ტურიზმში, ღონისძიებების მენეჯმენტი ტურიზმში/MICE ტურიზმი, ტურიზმის პოლიტიკა და რეგულაციები“. აღნიშნული რეკომენდაციის კუთხით, დაწესებულებამ სავალადებულო კურსებში დაამატა „პროექტების მართვა ტურიზმში“ და „MICE ტურიზმი“, ხოლო „ტურიზმის პოლიტიკისა და რეგულაციების“ სახელწოდება და სილაბუსი არ შეცვლილა. დაწესებულების თქმით, აღნიშნული კურსის თემატიკა გადანაწილდა „ტურიზმის ეკონომიკის“ მე-12, მე-13 და მე-14 თავებში და „ტურიზმის სამართალში“. ტურიზმის პოლიტიკისა და რეგულაციების საკითხები აისახა „ტურიზმის ეკონომიკის“ კურსის ხსენებულ თავებში. თემებია: „ტურიზმის პოლიტიკა ეროვნულ და რეგიონულ დონეზე, ტურიზმის საერთაშორისო პოლიტიკა და გლობალიზაცია, ტურიზმის მდგრადი განვითარების პოლიტიკა, მაშინ როცა სასწავლო კურსის სილაბუსის მიზნებში აღნიშნული საკითხები არ განიხილება და წარმოდგენილი შემდეგი ფორმით: „სასწავლო კურსის მიზანია ეროვნულ და რეგიონულ ეკონომიკაში ტურიზმის ინდუსტრიიც როლის, ტურიზმის ეკონომიკური ასპექტების მოთხოვნისა და მიწოდების კომპონენტების, ტურისტული დანიშნულების ადგილის კონკურენციის, ტურიზმის მულტიპლიკატორების შესახებ ფუნდამენტური ცოდნის დაუფლება.“ ასევე, დაწესებულებას მიაჩნია, რომ „ტურიზმის

სამართლის“ კურსი სრულყოფილად ასახავს სამართლებრივი რეგულაციების მიმართებით საკითხებს, თუმცა აღნიშნული სილაბუსის შინაარსი მოიცავს ტურიზმის პოლიტიკისა და რეგულაციების ხსენებულ საკითხებსაც: სახელმწიფო პოლიტიკა და სახელმწიფო რეგულირება ტურიზმისა და კურორტების დარგში, სახელმწიფო წარმომადგენლობა და სახელმწიფოს როლი ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებაში, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. „ტურიზმის ეკონომიკის“ კურსში დამატებული ტურიზმის პოლიტიკისა და რეგულაციების საკითხები თავისუფლად შეიძლება დამატებოდა „ტურიზმის სამართლის“ კურსს და საგანი ამავე სახელწოდებით შენარჩუნებულიყო პროგრამის კურიკულუმში. რეკომენდებულია აღნიშნული ცვლილების განხორციელება. დანარჩენი რეკომენდაციები და რჩევები შესრულებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.
პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა, მერაბ ხოხობაიამ აღნიშნა, რომ რეკომენდაციის თავდაპირველი მოტივი იყო პროგრამაში ტურიზმის პოლიტიკისა და რეგულაციების თემის დამატება. უნივერსიტეტის პოზიციით, ტურიზმის პოლიტიკის საკითხები სისტემურად უნდა წარმოდგენილიყო „ტურიზმის ეკონომიკის“ კურსში, ხოლო ტურიზმის რეგულაციების საკითხებს სრულად ფარავს - „ტურიზმის სამართლის“ კურსში. მოდიფიცირდა და პოლიტიკის საკითხები გაფართოვდა სალექციო ნაწილში. შესაბამისად, ტურიზმის ეკონომიკის განუყოფელი ნაწილია ტურიზმის პოლიტიკა. ექსპერტის მოსაზრების საწინააღმდეგოდ, კურსის მიზანში ხაზგასმულია ინდუსტრიის გავლენა ეროვნულ და რეგიონულ დონეზე, ტურისტული დანიშნულების ადგილის კონკურენციის საკითხი, რაც ფარავს პოლიტიკის თემატიკას. ასევე, ტურიზმის ეკონომიკის საგანში არ გადმოტანილა სამართლებრივი კონტენტი, რაც, სავარაუდოდ, ტექნიკური შეცდომაა, რადგან სამართლებირივ ნაწილი სრულად არის წარმოდგენილი კურსში. რაც შეეხება ექსპერტის შემაჯამებელ მოსაზრებას, რომ „ტურიზმის სამართლის“ კურსში უნდა იყოს წარმოდგენილი ის საკითხები, რომლებიც „ტურიზმის ეკონომიკის“ კურსში გაფართოვდა, დაწესებულება მას არ ეთანხმება. მდგრადი განვითარებისა და საერთაშორისო ტურიზმის საკითხები არ არის ტურიზმის სამართლის თემატიკა. მთლიანობაში ამოცანა მდგომარეობდა დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულებაში და ამისთვის პოლიტიკის საკითხები აისახა „ტურიზმის ეკონომიკის“ კურსში, ხოლო რეგულაციების საკითხები - „ტურიზმის სამართლის“ კურსში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ციური დურულმა სთხოვა ექსპერტს დაეზუსტებინა თუ რაში ხედავდა შეუსრულებელი რეკომენდაციის პრობლემას. ნინო დევიძემ დააზუსტა შენიშვნა, რომ პროგრამაში დამატებული საკთხები მხოლოდ და მხოლოდ უნდა გადატანილიყო „ტურიზმის სამართლის“ კურსში. ასევე, ამ საკითხების სწავლება უფრო ეფექტური იქნებოდა ერთ კურსში, ვიდრე ორ განსხვავებულ კურსში მათი გადანაწილებით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 13:41
დასრულების დრო: 13:54

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

დამტკიცებული დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2025 წლის 8 სექტემბერს 13:55 სთ-ზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე

ელექტრონული
მფარველობა
ელექტრონულად